

შპს ჯი ეს ჯი ფრეით
ფორვარდინგფინანსური
ანგარიშგება
(არააუდირებული)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
3. შემოსავლები	10
4. თვითღირებულება	11
5. სხვა შემოსავლები	11
6. ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები	11
7. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	11
8. ფინანსური ხარჯი	11
9. ძირითადი საშუალებები	12
10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
12. მარაგები	13
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
14. საგადასახადო ვალდებულებები	13
15. დაკავშირებული მხარეები	13
16. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები	14
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-24	31/12/2023 - გადაწარიშებ ული	31/12/2022 - გადაწარიშებ ული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	381,139	435,101	94,915
არამატერიალური აქტივები		3,505	3,603	3,000
		384,644	438,704	97,915
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	10	129,329	16,467	300,323
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	1,144,007	1,039,630	1,262,939
მარაგები	12	4,102	17,902	724
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
		1,277,438	1,073,998	1,563,986
მთლიანი აქტივები		1,662,082	1,512,702	1,661,901
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		196,549	196,549	192,369
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,153,205	334,248	(67,951)
		1,349,754	530,797	124,418
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-	99,832
		-	-	99,832
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	154,734	575,216
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	292,705	816,086	840,047
საგადასახადო ვალდებულებები	14	19,623	11,085	22,388
		312,328	981,905	1,437,651
მთლიანი ვალდებულებები		312,328	981,905	1,537,483
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,662,082	1,512,702	1,661,901

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024	2023 - გადაანგარიშებ ული
ამონაგები	3	14,354,100	12,038,841
თვითღირებულება	4	(12,125,803)	(10,064,180)
საერთო მოგება		2,228,297	1,974,661
სხვა შემოსავლები	5	-	75,542
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,417,878)	(1,591,067)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	7	35,685	(17,968)
სხვა ხარჯები		(42,015)	-
საოპერაციო მოგება		804,089	441,168
ფინანსური შემოსავალი		18,142	-
ფინანსური ხარჯი	8	(3,274)	(38,969)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		14,868	(38,969)
მოგება დაბეგვრამდე		818,957	402,199
გაცემული დივიდენდი		-	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		818,957	402,199
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკ		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		818,957	402,199

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	192,369	(67,951)	124,418
წმინდა მოგება			-
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი		402,200	402,200
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,180		4180
2023 წლის 31 დეკემბერი	196,549	334,249	530,478
წმინდა მოგება			-
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი		818,957	818,957
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			-
2024 წლის 31 დეკემბერი	196,549	1,153,206	1,349,435

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის
1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვიტალი სერგია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	482 094	478 515
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(369 783)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	362 000	(420 482)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	115 094	(311 750)
სავალუტო კურსის ეფექტი	7 232	27 894
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	16 467	300 323
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	129 329	16 467

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის
1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვიტალი სერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2016 წლის 23 დეკემბერს (ს.ნ. 404525493). იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ინგოროყვას ქ., N 12.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს ჯორჯიან სერვის გრუპი (ს.ნ. 215127565) რომლის 100% წილის მფლობელია ვიტალი სერგია (პ.ნ. 58001003080).
დირექტორი: ვიტალი სერგია (პ.ნ. 58001003080)

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო გადაზიდვები (ფრეით ფორვარდინგი). კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ მომსახურებას, მათ შორის ტვირთების ეფექტიან ორგანიზებასა და მარშრუტების დაგეგმვას, პარტნიორებთან კოორდინაციას, საბაჟო პროცედურების მხარდაჭერას და შიდა თუ საერთაშორისო გადაზიდვების სრულ ციკლს, მ.შ. სარკინიგზო, სახმელეთო, საავიაციო გადაზიდვებს, ასევე ტვირთის ექსპედიციას და სხვა სერვისებს. კომპანიაში 2024 წლის მანძილზე საშუალოდ დასაქმებულია 13 ადამიანი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოადგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

2.3. წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2.4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილებისუმნიშვნელო რისკს.

2.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მათი გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი ფორმირდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ თანხას. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას როგორც სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ასევე სახელშეკრულებო აქტივების აღრიცხვისას და ზარალის რეზერვს აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს სავარაუდო დეფიციტს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური აქტივის მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ზარალის ოდენობის დადგენისას კომპანია ეფუძნება საკუთარ ისტორიულ მონაცემებს, შესაბამის გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

2.6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

2.7. ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

ოფისის აღჭურვილობა
ავეჯი და სხვა ინვენტარი
ტრანსპორტი

5
5
10

2.8. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

2.9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის.

2.10. სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

2.11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, რაც ასახავს მათ თავდაპირველ აღიარებას მინუს შემდგომში განხორციელებულ გადახდებსა და დაგროვილ ეფექტურ საპროცენტო ხარჯს, საჭიროების შემთხვევაში

2.12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა

2.13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

2.13.1. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

2.13.2. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.13.3. ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. შემოსავლები

ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	14,354,100	12,038,841
სულ	14,354,100	12,038,841

კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ მომსახურებას, მათ შორის ტვირთების ეფექტიან ორგანიზებასა და მარშრუტების დაგეგმვას, პარტნიორებთან კოორდინაციას, საბაჟო პროცედურების მხარდაჭერას და შიდა თუ საერთაშორისო გადაზიდვების სრულ ციკლს, მ.შ. სარკინიგზო, სახმელეთო, საავიაციო გადაზიდვებს, ასევე ტვირთის ექსპედიციას და სხვა სერვისებს.

4. თვითღირებულება

თვითღირებულება

	2024	2023
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(12,125,803)	(10,064,180)
სულ	(12,125,803)	(10,064,180)

თვითღირებულება ძირითადად მოიცავს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიების მომსახურების და შენახვის ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავალთან. კომპანია კონკრეტული გადაზიდვის შესრულების მიზნით ქირაობს შესაბამის სატრანსპორტო კომპანიას, და აღნიშნული ხარჯები ასახულია როგორც შემოსავალთან პირდაპირ კავშირში მყოფი ხარჯები.

5. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	75,542
სულ	-	75,542

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

6. ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,281,851)	(1,384,458)
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ხარჯი	(26,752)	(79,477)
საწვავი	(14,005)	(17,146)
იჯარის ხარჯი	-	-
კომუნალური ხარჯები	(3,354)	(2,603)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,209)	(8,054)
დაზღვევის ხარჯი	-	(12,200)
რემონტი	(1,048)	(26,762)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(27,600)	(31,375)
ცვეთა და ამორტიზაცია	(54,059)	(28,993)

7. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2024	2023
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	35,685	-17,965
სულ	35,685	(17,965)

8. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(3,274)	(38,969)
სულ	(3,274)	(38,969)

9. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სულ
31 December, 2023	30,822	133,663	1,575	351,917	517,977
შემოსვლა					-
გასვლა					-
31 December, 2024	30,822	133,663	1,575	351,917	517,977
ცვეთა და გაუფასურება					
31 December, 2023	(29,187)	(45,230)	(1,234)	(7,226)	(82,877)
პერიოდის ცვეთა	(1,023)	(17,757)	(91)	(35,090)	(53,961)
გაუფასურება	-	-	-	-	-
გასვლა					-
31 December, 2024	(30,210)	(62,987)	(1,325)	(42,316)	(136,838)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 December, 2023	1,635	88,433	341	344,691	435,100
31 December, 2024	612	70,676	250	309,601	381,139

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	83,092	13,460
უცხოური ვალუტა ბანკში	46,237	3,007
სულ	129,329	16,467

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	839,712	797,762
გადახდილი ავანსები	47,533	211,602
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	226,525	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	30,237	30,266
სულ	1,144,007	1,039,630

გაცემული სესხი არის დამფუძნებელზე გაცემული და მოიცავს ასევე დარიცხულ პროცენტსაც

შპს ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ - (თანხები მოცემულია ლარში)

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,188,724	797,761
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(349,012)	-
	<u>839,712</u>	<u>797,761</u>
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	219,198	211,603
გადახდილი ავანსების ანარიცხები	(171,665)	-
	<u>47,533</u>	<u>211,603</u>
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>1,058,910</u>	<u>1,009,364</u>
	31-12-24	31-12-23
ანარიცხი 1 იანვრისთვის		
ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე	(520,677)	-
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ჩამოწერ	-	-
სავაჭრო მოთხოვნების და გადახდილი ავანსების აღდგენა	-	-
ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	<u>(520,677)</u>	<u>-</u>

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

12. მარაგები

	2024	2023
საქონელი	4,102	17,902
სულ	4,102	17,902

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	288,418	814,292
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4,287	1,794
სულ	292,705	816,086

14. საგადასახადო ვალდებულებები

	2024	2023
საგადასახადო ვალდებულებები	19,623	11,085
სულ	19,623	11,085

15. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია და კომპანიის მენეჯმენტი. მეკავშირე საწარმოსგან და ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსგან მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებული მხარეების შორის ვალდებულება წარმოშობილია მომსახურების გაწევის შედეგად. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:
საქონლის მიწოდება/საქონლისა და მომსახურების შეძენა

	2024	2023
მომსახურების შეძენა	0	0
სულ	0	0

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი

	2024	2023
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტი	226525	0
მეკავშირე საწარმო	18495	18495
სულ	18,495	18,495

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	949,539	1,124,038
სულ	949,539	1,124,038

16. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

კომპანია წინა 2023 და 2022 პერიოდების მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდების იმ შესადარის თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდებში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდების საწყის ნაშთებს.

მიმდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წინა პერიოდების განმავლობაში დაშვებული რამდენიმე შეცდომის გასწორება, მ.შ. ყველაზე არსებითი არის 2022 წელს მოგება ზარალის ანგარიშგების თვითღირებულებაში ასახული თანხა, რომელიც რეალურად იყო ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსი, რომლის მოწოდებაც მოხდა 2023 წელს. ამის გამო დაკორექტირდა შესაბამისი მუხლები 2022-2023 წლებში.

მუხლი	თანხა ცვლილებამდე (31/12/2023)	კორექტირება	თანხა ცვლილების შემდეგ (31/12/2023)
ძირითადი საშუალებები	440,528	(5,427)	435,101
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,084,117	(44,488)	1,039,630
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(143,925)	478,173	334,248
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,343,761	(527,675)	816,086
ამონაგები	12,039,111	(270)	12,038,841
თვითღირებულება	(10,066,457)	2,277	(10,064,180)
სხვა შემოსავლები	35,549	39,993	75,542
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1,596,322)	5,255	(1,591,067)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(19,590)	1,622	(17,968)

მუხლი	თანხა ცვლილებამდე (31/12/2022)	კორექტირება	თანხა ცვლილების შემდეგ (31/12/2022)
ძირითადი საშუალებები	107,758	(12,843)	94,915
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	874,872	388,067	1,262,939
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(496,927)	428,976	(67,951)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	894,119	(54,072)	840,047
ამონაგები	11,104,974	5,908	11,110,882
თვითღირებულება	(9,752,654)	414,667	(9,337,987)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(74,382)	8,722	(65,660)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის მფლობელის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი: ვიტალი სერგია

